

პალმის ცხიმთან ასოცირებული რისკის მართვის  
ალტერნატიული ღონისძიების რეკომენდაციები

რისკის შეფასების სამსახური



**SRCA**

სოფლის მეურნეობის  
საუბნეიარო კვლევითი მცხდარი

თბილისი 07.06.2017



## პალმის ცხიმთან ასოცირებული რისკის მართვის ალტერნატიული ღონისძიების რეკომენდაციები

**1. რეკომენდაცია** - მოსახლეობას განემარტოს, რომ რაციონის ბალანსირებულობის გათვალისწინებისას, მხედველობაშია მისაღები პალმის ცხიმში არსებული ცხიმოვანი მჟავების შემცველობის სპეციფიკურობა, კერძოდ, ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების „ჭარბი“ რაოდენობა და შესაბამისად მისი დაბალი ბიოლოგიური ეფექტურობა. (პასუხისმგებელი ორგანიზაცია: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი).

**2. რეკომენდაცია** - Codex Alimentarius-ის სტანდარტის საფუძველზე STANDARD FOR NAMED VEGETABLE OILS - CODEX STAN 210-1999 (Adopted in 1999. Revision: 2001, 2003, 2009. Amendment: 2005, 2011, 2013 and 2015) შემუშავდეს ტექნიკური რეგლამენტი მცენარეული ზეთებისთვის. (პასუხისმგებელი ორგანიზაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.)

**3. რეკომენდაცია** - სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლისა და რისკის შეფასების განხორციელებისათვის, სურსათის მონიტორინგის ფარგლებში, კონკრეტული სიტუაციიდან და მიზნობრიობიდან გამომდინარე ლაბორატორიული კვლევებისათვის განისაზღვროს პალმის ცხიმის უვნებლობის მაჩვენებელთა კომპლექსი. (პასუხისმგებელი ორგანიზაცია: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო).

**4. რეკომენდაცია** - პალმის ზეთის, უვნებლობის მოთხოვნათა დაცვის სფეროში არსებული რისკებისა და მისაღები ზომების შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, 2018 წლიდან განხორციელდეს სასაზღვრო კონტროლის ფარგლებში პალმის ცხიმის უვნებლობის მაჩვენებლების მონიტორინგი. (პასუხისმგებელი ორგანიზაცია: სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი).




რისკის შეფასების სამსახური:

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი




მაკა მდინარაძე

მთავარი სპეციალისტი



ლეილა ტაბატაძე

მთავარი სპეციალისტი



მამუკა კოტეტიშვილი